ბიბლიოთეკა

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 127 (10213) | სამშაბათი, 31 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. — **1955 წელს სიმინდის წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა დაინტერესების ამაღლების შესახებ** (1-ლი გვერდი).

მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში (1-ლი გვერდი).

გაიხსნა ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა (1-ლი გვერდი).

მთელი ძალები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას. — **ვ. პეტრიაშვილი.** — საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანები (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში (მე-3 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის [illegible] (მე-3 გვერდი).

ნ. ყოჩიაშვილი. — საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესი მოქმედებაში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა

მეცხოველეობის პროდუქტიულობის, განსაკუთრებით წველადობის გადიდების დარგში სოფლის მშრომელებს დიდი მუშაობა მართებთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალების შესასრულებლად აუცილებელია საქართველოში წველადობა ყოველწლიურად თვითეულ ძროხაზე დიდდებოდეს სულ მცირე 150-200 კილოგრამით. საამისოდ ყველა პირობა არსებობს.

წველადობის გადიდების საუკეთესო პერიოდად ითვლება ზაფხული. ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში ზამთრობით ძროხა ცოცხალი წონის დაახლოებით 20 პროცენტს იკლებს. წონის ეს დანაკლისი ცხოველმა უნდა აღიდგინოს საზაფხულო ძოვების პერიოდში. საძოვრებზე ნოყიერი ბალახით კვების შედეგად მკვეთრად იზრდება ძროხის წველადობა. საქართველოს კოლმეურნეობათა ფერმებში წლის მანძილზე მიღებული რძის საერთო რაოდენობის 70 პროცენტზე მეტი სწორედ საზაფხულო ძოვების პერიოდზე მოდის.

მერძეული პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა საძოვრების ნაკვეთმორიგეობითი სისტემის გამოყენებით ამჟამად ითვლება მეცხოველეობის მეურნეობის ყველაზე პროგრესულ სისტემად, რომელიც ზოოტექნიკური მუშაობისა და საკვების წარმოების მაღალი დონით ხასიათდება.

პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის საფუძველს შეადგენს მწვანე კონვეიერი, რაც გულისხმობს საკვები კულტურების ისე თესვას, რომ ცხოველი ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მთლიანად უზრუნველყოთ მწვანე საკვებით. მწვანე კონვეიერში სასურველია ერთსა და იმავე დროს გვქონდეს პარკოსანი და მარცვლეული კულტურები, რაც ხელს უწყობს პირუტყვის მადის გაუმჯობესებას და პროდუქტიულობის გადიდებას. საკვები კულტურები უნდა ითესებოდეს პირუტყვის სადგომებთან ახლოს, რომ მოთიბული ბალახი შორს გადასაზიდავი არ გახდეს. მწვანე ბალახის მნიშვნელობა დიდია პირუტყვის კვების საქმეში. ეს საკვები შეიცავს ორგანიზმისათვის საჭირო ცილებს, ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს.

იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც პრაქტიკულად დანერგეს პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა და უზრუნველყვეს იგი უხვად მწვანე საკვებით, მნიშვნელოვნად გაადიდეს წველადობა. ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმამ 1951 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.460 კილოგრამი რძე, ბაგურ-ბანაკური შენახვის დანერგვის პირობებში 1954 წელს 42 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 2.522 კილოგრამი რძე, ამ ფერმის მწველავმა გ. ვარშანიძემ კი—3.209 კილოგრამი.

ბაკიჩეთის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სანაშენო საბჭოთა მეურნეობა კარგად იყენებს საზაფხულო ბაგურ-ბანაკური სისტემას, რის შედეგად გასულ წელს თვითეულ ძროხაზე მიიღეს 2.838 კილოგრამი რძე.

პრაქტიკიდ დამტკიცებულია, რომ სიმინდი მეცხოველეობის აღმავლობის ძლავრი საშუალებაა. სწორად მოიქცნენ ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც მიმდინარე წელს მწვანე კონვეიერში მნიშვნელოვნად გააფართოეს სიმინდის ნათესები. მწვანე კონვეიერში ღირსეული ადგილი ეკუთვნის სიმინდს, რომელსაც თავისი პოტენციური შესაძლებლობებით პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში ბადალი თითქმის არ მოეპოვება. მწვანე კონვეიერში სიმინდს იყენებენ მწვანე საკვებად და სილოსის სახით.

სამწუხაროდ, საქართველოს კოლმეურნეობებში პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა დღემდე ნელა ინერგება. ამ პროგრესული ღონისძიების შეუფასებლობის შედეგად პირუტყვი საკმაო რაოდენობით არ არის უზრუნველყოფილი მწვანე და წვნიანი საკვებით. ამის გამო მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაბალია.

ზესტაფონის რაიონის 36 კოლმეურნეობიდან არც ერთი არ ასრულებს წველადობის დაწესებულ გეგმას. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკანასკნელად ძროხების წველადობა გასულ წელთან შედარებითაც კი შემცირდა. სამეურნეო წლის 7 თვის განმავლობაში თვითეულ ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 188 კილოგრამი რძე, თვითეული ძროხის საშუალო თვიური წველადობა 25-27 კილოგრამს არ აღემატება.

ლანჩხუთის რაიონის ქვიანის, ჭყონაგორის, ჩოლობარგის, ნიგოითის და ახალსოფლის კოლმეურნეობებში 1 აპრილისათვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წველადობა შემცირდა.

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის და ჭიკაანთკარის კოლმეურნეობებში სათანადოდ არ ზრუნავენ პირუტყვის მწვანე და წვნიანი საკვების გადიდებისათვის.

პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის ფართოდ გამოყენებისათვის არ ზრუნავენ მერძეული მესაქონლეობის ისეთ რაიონებში, როგორიც არის დმანისის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ახალქალაქის, წალკისა და თეთრი წყაროს რაიონები. ამ რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში ზაფხულობით ძროხები ბანაკად გაჰყავთ, მაგრამ მოთიბული მწვანე მასის ბაგაზე მიცემა და ბაგურ-ბანაკური შენახვის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები არ ხორციელდება. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობებს აქვთ მაღალხარისხოვანი ბუნებრივი საძოვრები, სახნავი მიწები და შეუძლიათ გამოიყენონ ეს მიწები მწვანე და წვნიანი საკვები კულტურების მოსაყვანად.

რით არის გამოწვეული ის, რომ პროდუქტიულობის ამაღლების ისეთი მოწინავე ღონისძიება, როგორიც პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვაა, ფართო მასშტაბით არ ინერგება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში?

ამის მიზეზი ის არის, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. ამასთან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის სისტემის გავრცელებაში კოლმეურნეობებს სუსტ დახმარებას უწევს, მთელი სიმტკიცით არ იბრძვის ბაგურ-ბანაკური შენახვის დარგში მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების გავრცელებისათვის. ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლიათ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებს. ინსტიტუტმა შეიმუშავა რესპუბლიკის სხვადასხვა ძირითადი ზონისათვის მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმებთან მწვანე კონვეიერის შემოღების სანიმუშო სქემები, მაგრამ არასაკმაოდ ეხმარება კოლმეურნეობებს ამ სქემების გამოყენებაში. ორ-სამ კოლმეურნეობაზე ინსტიტუტის შეფობა საქმეს არ შველის. ინსტიტუტის მუშაკთა ვალია მეტი ცოცხალი კავშირი იქონიონ კოლმეურნეობებთან და დაეხმარონ მათ ამ ღონისძიების მასობრივად განხორციელებაში.

პარტიამ მიგვითითა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართო მასშტაბით უნდა დაინერგოს პირუტყვის საზაფხულო ბაგურ-ბანაკური შენახვა საძოვრების ნაკვეთმორიგეობითი სისტემის გამოყენებით. საქართველოში მეტ წილ საძოვრებს უყაირათოდ იყენებენ, ძოვების ნაკვეთმორიგეობითს სისტემას ბევრი კოლმეურნეობა არ მიმართავს. ეს იწვევს სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებას. აუცილებელია განვახორციელოთ ღონისძიებანი სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად და უახლოეს წლებში 1,5—2-ჯერ გავადიდოთ მათი მოსავლიანობა, უზრუნველყოთ მათი სწორად გამოყენება ნაკვეთმორიგეობითი ძოვების გზით.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოწოდებული არიან უფრო მტკიცედ იბრძოლონ ჩამორჩენის დასაძლევად ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაში, როგორიც არის პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა, ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემა.

ახლა არ არსებობს იმაზე უფრო სიპატიო ამოცანა, ვიდრე პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახულ დავალებათა ვადამდე შესრულება. მაღლა ავწიოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

აღვაის მხარემ საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შეასრულა

ბარნაული. (საკდესი). ალტაის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 103 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. მხარეში დათესილია 6.848 ათასი ჰექტარი — 1.551 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. ძირითადი კულტურა — საგაზაფხულო ხორბალი დათესილია 4.5 მილიონი ჰექტარი — 1.100 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. მხარეში წელს პირველად უკავია სიმინდს უდიდესი ფართობი. დათესილია 483 ათასი ჰექტარი სიმინდი.

საგვიანო საგაზაფხულო კულტურების თესვა გრძელდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

1955 წელს სიმინდის წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა და მტს-ების საჭრაქტორო ბრიგადების მუშაკთა დაინტერესების ამაღლების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს კოლმეურნეთა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა დაინტერესება სიმინდის წარმოების გადიდებით, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს საერთო კრების გადაწყვეტილებით აძლიონ კოლმეურნეებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს, შრომადღეებზე მათი კუთვნილი ანაზღაურების დამატებით, სრული სიმწიფის ტაროთი მიღებული სიმინდის მოსავლის, რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის დასილოსებული ტაროების და სიმინდის ღეროებისა და ფოთლებისაგან ჩადებული სილოსის 15-მდე პროცენტი.

განაწილება სიმინდისა, რომელიც კოლმეურნეებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს ერგებათ ტაროდ, აგრეთვე სილოსისა, მოხდეს შემდეგი წესით: სიმინდის ტაროს და სილოსის იმ რაოდენობის ნახევრამდე, რომელიც გამოანგარიშებულია გასაცემად საერთო მოსავლიდან, რაც თვითეულმა ბრიგადამ (რგოლმა) მიიღო მასზე მიმაგრებულ ფართობზე, განაწილდეს ამ ბრიგადების (რგოლების) კოლმეურნეებსა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს შორის სიმინდის მოყვანაზე, მოსავლის აღებასა და დასილოსებაზე გამომუშავებული შრომადღეების პროპორციულად, ხოლო სიმინდისა და სილოსის დანარჩენი ნაწილი განაწილდეს ყველა კოლმეურნესა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს შორის ყველა შრომადღეზე, რომლებიც მათ გამომიმუშავეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში წლის დასაწყისიდან.

2. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს საერთო კრების გადაწყვეტილებით აძლიონ ბრიგადის ან რგოლის კოლმეურნეებს და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს, რომლებიც სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოებაზე მუშაობდნენ, იმ პირობით, თუ მტს-ის მთავარი აგრონომი დაადასტურებს, რომ ისინი იცავდნენ ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანის ყველა წესს, — 50-მდე პროცენტი, სხვა ჰიბრიდების გამოყვანისა და ჰიბრიდთა მშობლიური ფორმების გამრავლებისათვის — 30-მდე პროცენტი სიმინდის ტაროს იმ მოსავლისა, რომელიც მიღებულია მათზე მიმაგრებული ნაკვეთებიდან. სიმინდის განაწილება მოხდეს ამ ნაკვეთებზე მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით. ჰიბრიდული თესლის გამოყვანისა ან ჰიბრიდების მშობლიური ფორმების გამრავლებისათვის სიმინდის გაცემა მოხდეს ტაროდ საწარმოო ნათესებიდან.

3. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სიმინდის მოყვანის, მოსავლის აღებისა და დასილოსების სამუშაოთა ორგანიზაციისა და შესრულებისათვის დამატებით აძლიონ:

ა) საწარმოო ბრიგადის ბრიგადირს — სიმინდის ტაროს და სილოსის იმ რაოდენობის 150-მდე პროცენტი, რაც საშუალოდ მოდის ბრიგადის ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე;

ბ) სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს — სიმინდის ტაროს და სილოსის იმ რაოდენობის 150-მდე პროცენტი, ხოლო მის თანაშემწეს — 130-მდე პროცენტი, რაც საშუალოდ მოდის სატრაქტორო ბრიგადის ერთ ტრაქტორისტზე;

გ) კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და აგრონომს (ზოოტექნიკოსს) — სიმინდის ტაროს და სილოსის იმ რაოდენობის 130-მდე პროცენტი, რაც საშუალოდ მოდის საწარმოო ბრიგადის ერთ ბრიგადირზე.

4. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურება სიმინდის მოყვანის, მოსავლის აღებისა და დასილოსებისათვის წარმოებს შრომადღეებზე ავანსად გასაცემი და კოლმეურნეობის შინასამეურნეო საჭიროებისათვის გათვალისწინებული მარცვლეულის რაოდენობის ზევით და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების მიუხედავად.

5. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს სიმინდითა და სილოსით კუთვნილი დამატებითი ანაზღაურება, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1-ლი და მე-3 პუნქტებით, კოლმეურნეთა და მტს-ების მუშაკთა სურვილის მიხედვით აძლიონ სხვა პროდუქტებით ან ფულად იმ ოდენობით, რასაც კოლმეურნეთა საერთო კრება დააწესებს.

გაიხსნა ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

27 მაისს მოსკოვში გაიხსნა ბაშკირული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. მოსკოველებმა გულთბილად მიიღეს ბაშკირთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნიჭიერი შვილები. სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალის დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა მუშები, ხელოვნების ოსტატები, მეცნიერები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აქ ბაშკირეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შესრულებით უჩვენეს ახალგაზრდა კომპოზიტორ ზ. ისმაგილოვის ოპერა „სალავათ იულაევი“. სპექტაკლი წარმოსახავს ბაშკირი ხალხის ეროვნულ გმირს, მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ იბრძოლენენ ბაშკირი გლეხები რუსი გლეხების მხარდაჭერით ცარიზმისა და ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ოპერის მუსიკა მდიდარია ბაშკირული და რუსული ხალხური მელოდიებით.

ბაშკირეთის დრამის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა 27 მაისს მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენაზე წარმოადგინა ა. ჩეხოვის პიესა „ძია ვანია“ ბაშკირულ ენაზე ნ. ჰაფიზოვის თარგმანი.

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური და ხალხური ცეკვის საღამო.

დეკადის პირველ დღეს ბაშკირეთის მსახიობთა სპექტაკლებსა და კონცერტს დაესწრო ათასობით მოსკოველი.

(საკდესი).

მეხუთე ხუთწლედის შესრულებაში დაწინაურებული საწარმო

თბილისის ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც იკისრა მეხუთე ხუთწლიანი დავალების შესრულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის, ახალ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — 27 მაისს შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა და ამ გეგმის გადამეტებით უკვე მოგვცა 3 ტონა პროდუქცია.

ასეთი დიდი გამარჯვებით აღფრთოვანებული ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით განაგრძობენ მუშაობას მეხუთე ხუთწლედის გადამეტებით პროდუქციის გამოსაშვებად, მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მითითებათა გასანაღდებლად.

ჭყიბულელმა მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს ხუთი თვის გეგმა

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირის მოწოდების პასუხად ბოლო დღეებში დიდად გააძლიერა ქვანახშირის ამოღების ტემპი და ხუთი თვის საწარმოო დავალება ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა. წელს განვლილ ხუთ თვეში უშუალოდ შახტებში მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდებულია 5,5 პროცენტით, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 1,9 პროცენტით.

შახტებს შორის შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელმაც გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით მოგვცა ქვანახშირი.



კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე დაიწყეს პირველი ჰიდროავლიკურ შემოწმებას. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გ. კლენტუხას მემონტაჟეთა ბრიგადამ ორი ჰიდროაგრეგატის სამუშაო ბორბლების აწყობა. მემონტაჟე გ. კლენტუხა ვადაზე ხუთი დღით ადრე დაამთავრა პირველი აგრეგატის სამუშაო ბორბლის აწყობა და შეუდგა მის ბორბლების აწყობას.

ფოტო ი. ლიბუტასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში

დიდი წარმადობის ჩარხები

მინსკი. ბელორუსიის დედაქალაქის ჩარხმშენებლები მუშაობენ გაუმჯობესებული ლითონდამმუშავებელი აგრეგატების შესაქმნელად. მომდინარე წლის დამდეგიდან მათ შექმნეს ათი ახალი სახეობის დიდი წარმადობის ჩარხები.

ვოროშილოვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა კოლომნელ ორთქლმავალმშენებლებს გაუგზავნა სპეციალური სარანდავი ჩარხი დიდი დეტალების დასამუშავებლად. ახლა საწარმოში მთავრდება 300 ტონაზე მეტი წონის სარანდავი ჩარხის აწყობა. იგი განკუთვნილია ლითონის თორმეტამდე მეტრი სიგრძისა და ექვსამდე მეტრი სიგანის ფურცლების ნაწიბურთა დასამუშავებლად.

ექვსი ახალი სახეობის ჩარხი გამოუშვა წელს კიროვის სახელობის ქარხანამ. აქ წარმოებას გადაეცა ვერტიკალურად განსაფენი, ჰორიზონტალურად განსაფენი და მომჭრელი ჩარხების კიდევ რვა მოდელი სატრაქტორო და საავტომობილო მრეწველობის საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის. (საკდესი).

ოთხი მილიონი მანეთი ეკონომია

ტაშკენტი. სტალინის სახელობის ტაშკენტის საფეიქრო კომბინატის სალტიო დაფაზე შეტანილია წარმოების ნოვატორის — ჩითსაბეჭდი ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მარიამ დანიელის ასულ ტიხონოვას სახელი. ეს სალტიო უფლება მან მოიპოვა ქსოვილების მზატვრული გამოყვანის ტექნოლოგიის გაუმჯობესების მეთხებით. კომბინატში 20 წლის მუშაობის დროს ამხ. ტიხონოვამ დამოუკიდებლად და ამხანაგებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით ათობით ძვირფასი სიახლე დანერგა. ფაბრიკის კოლექტივმა, რომლის ტექნიკურ ხელმძღვანელობას იგი სათავეში უდგას, თითქმის ერთიორად გადააჭარბა საწარმოს საპროექტო სიმძლავრეს.

მნიშვნელოვანია ამხ. ტიხონოვას წვლილი მეხუთე ხუთწლედის ვადამდე დამთავრების საქმეში. ამ ხუთწლედის განმავლობაში მან მიიღო მთელი რიგი საავტორო მოწმობანი. გამომგონებელი ინჟინრის წინადადებით გამოყენებულია ლურჯი საღებავების მასალის ახალი რეცეპტურა. ამისი ეკონომიური ეფექტია 100 ათასი მანეთი წელიწადში. ქიმიკოსებთან კ. მოჩალინასთან და ა. ზემბიზინასთან თანამშრომლობით ამხ. ტიხონოვამ შექმნა ახალი ქიმიკატი ქსოვილების მერსერიზაციისათვის.

ნოვატორ ინჟინრის მარტო ექვსი უკანასკნელი წინადადების დანერგვით დაზოგილია ოთხ მილიონამდე მანეთი. (საკდესი).

ახალი ტურბინბურღები

ბაქო. ოცდაათიოდე წლის წინათ ინჟინერმა მ. ა. კაბელიუშნიკოვმა ბაგო და ნავთობის ჭაბურღილების ბურღვისას ბაქოს სარეწებში გამოიყენა მსოფლიოში პირველი ტურბინბურღი. მას შემდეგ ამ ბურღის კონსტრუქციამ დიდი ცვლილებანი განიცადა. ტურბინბურღი უფრო დიდი წარმადობის მექანიზმი გახდა.

დანერგეს რა გათხრის პროგრესული ტურბინული ხერხი, ტურბინმბურღავებმა მიაღწიეს დიდ სიჩქარეს ზღვაში და ხმელეთზე ღრმა ჭაბურღილების აგებაში. მათ მნიშვნელოვნად გაადიდეს მოწყობილობის სამსახურის ვადა, ზოგავენ დიდძალ მასალას. ბაქოში გამოშვებულ ტურბინბურღებს ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის ყველა ნავთობიან რაიონში.

ახლა საჭიროა ისეთი ტურბინბურღები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან გაკეთდეს სამიათას ხუთასი — ხუთიათას ორასი მეტრი სიღრმის ჭაბურღილები. მათი დამზადება მიენდო კოშლის ქარხნის კოლექტივს. მანქანათმშენებლებმა ღირსეულად შეასრულეს დავალება: 26 მაისს გამოუშვეს გაღიდებული სიმძლავრის პირველი სექციური ტურბინბურღი. იგი ეკონომიურია და შესაძლებელს ხდის ერთნახევარჯერ დაიჭიროს ჭაბურღილის გაკეთება დიდ სიღრმეზე. (საკდესი).

ვილნიუსის ყოფილ გარეუბნებში

ვილნიუსი. ლიტვის დედაქალაქის ყველაზე მაღალი წერტილიდან — გედიმინის ძველი კოშკიდან — გადაშლილია ქალაქის პანორამა. აქედან კარგად მოჩანს ფართო, მწვანეში ჩაფლული მოასფალტებული მაგისტრალი — ტრასი პირველი სატროლეიბუსო ხაზისა, რომელიც მომავალ წელს ჩადგება მწყობრში. იგი გადის ქალაქის ყოფილ გარეუბან ანტაკალნისში. გზის ორივე მხარეს აღმართულია ახალმშენებლობებზე მომუშავე კოშკური ამწეების ისრები.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ანტაკალნისი ვილნიუსის ერთ-ერთი ყველაზე მოუწყობელი გარეუბანი იყო. ახლა აქ კეთილმოწყობილია ქუჩები, გაშენებულია ბევრი სკვერი. აშენდა ახალი უბანი საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც ქმნიან ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს. ახლა ძნელია ისეთი ქუჩის ნახვა, სადაც მშენებლობა არ წარმოებდეს. მარტო წელს ქალაქის ამ ნაწილის მშრომელები მიიღებენ ექვსი ათას კვადრატულ მეტრზე მეტ ახალ საცხოვრებელ ფართობს. მთავრდება რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პირველი უზარმაზარი კორპუსის აგება, იქვე შენდება კიდევ ორი კორპუსი. დაწყებულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მედიცინის მუშაკებისათვის. ცენტრალურ ქუჩაზე შენდება მუსიკალური სკოლის ოთხსართულიანი შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ძლიერ გაიზარდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი გარეუბანი, სადაც იქმნება ახალი სამრეწველო რაიონი. ომისშემდგომ წლებში აქ მწყობრში ჩადგნენ ლიტვის ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშო — ქარხანა „ელფა“, უდიდესი სამკერვალო ფაბრიკა „ლელია“, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებისა და სილიკატური აგურის ქარხნები. ამას წინათ დამთავრდა ბეტონის ქარხნის მშენებლობა. შენდება რესპუბლიკაში ხორცისა და ხისდამმუშავებელი უდიდესი კომბინატები.

(საკდესი).

თბილისის სტალინის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ბიბლიოთეკა

მთელი ძალები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას

★ ★

საჭიროა ახალი ტექნიკა

მაუდ-კამვოლის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივნის შ. გურგენიძის სიტყვიდან

— თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით მოწყობილი საფეიქრო საწარმოა. მაგრამ ამასთან ისიც ცნობილია, რომ საფეიქრო დარგის ტექნიკის განვითარება მეტად სწრაფი ტემპით ხდება. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ჩვენს ფაბრიკაშიც მოძველდა ზოგი მანქანა-დანადგარი, რომელიც ახლა საჭიროებს უახლესით შეცვლას.

მაუდის სართავ საამქროში შრომის ნაყოფიერების ზრდა ფერხდება იმის გამო, რომ აქ გვაქვს ძველი, თითქმის უკვე ამორტიზებული პერიოდული მოქმედების სართავი მანქანები, რომლებიც ვერ იძლევიან იმდენ ნართს, რამდენიც საჭიროა ავტომატური საქსოვი მანქანების სრული დატვირთვით მუშაობისათვის. ამავე დროს ჩვენი საფეიქრო მანქანათმშენებელი მრეწველობა იძლევა ახალ ტექნიკას — უწყვეტი მოქმედების სართავ მანქანებს, რომლებიც დიდი წარმადობის არიან. ორი ასეთი უწყვეტი მოქმედების მანქანა კომბინატში მიიღეს, დაამონტაჟეს და ამუშავეს, მაგრამ ორი მანქანა, ცხადია, ასეთ დიდ საწარმოში საკმარისი არ არის.

საჭიროა საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ გამოჰყოს სათანადო თანხები ასეთი მანქანების შესაძენად. ამით კომბინატის კოლექტივი სრული სიმძლავრით დატვირთავს 35 ავტომატურ საქსოვ მანქანას, წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოუშვებს ნახევარ მილიონ მეტრ ძვირფას ქსოვილს.

ჩვენი კომბინატის კოლექტივი დიდ დაბრკოლებას განიცდის იმის გამო, რომ მატყლის საკორმონიზაციო უახლესი დანადგარები არ გვყოფნის, ხოლო უამისოდ მატყლიდან მცენარეულ მინარევთა გამოცალკევება, მატყლის გაწმენდა ეკალ-ბარდის ნარჩენებიდან ძნელდება.

სამინისტრო უნდა დაგვეხმაროს ასეთი ტექნიკით კომბინატის აღჭურვაშიც. ამ საშუალებით მატყლის ტექნოლოგიური დამუშავება გაადვილდება, ძაფის წყვეტიანობა შემცირდება და ქსოვილის ხარისხი გაუმჯობესდება.

სამინისტროს მისამართით

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მოწინავე ხარატის ვ. პავლოვის სიტყვიდან

— კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ვერ მოახერხა რიტმული მუშაობის მიღწევა და საეჭვოა ეს შეძლოს, თუ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ქარხანას ქმედითი დახმარება არ გაუწია შემდეგი საკითხების მოგვარებაში:

პირველი საჭიროებაა ნედლეულის მომარაგების მოწესრიგება ისე, რომ ლითონსამსხმელო და მოსამზადებელმა საამქროებმა შეძლონ დანარჩენი საამქროების უწყვეტ-ელყოფა დასამუშავებელი ნახევარფაბრიკატებით. ამ მიზნით ეს ორი საამქრო 1940 წელს გვაძლევდა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს გვაძლევდა, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში ომამდელ პერიოდთან შედარებით თუჯის გამოშვება გაიზარდა 2-ჯერ, ფოლადისა — 2,3-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 2,1-ჯერ, ნავთობისა — 1,9-ჯერ, ელექტროენერგიის გამოშვება — 3-ჯერ და მანქანებისა და სამრეწველო მოწყობილობებისა — 4-ჯერ.

ყოველივე ეს ჩვენი მრეწველობის მუშაკებს აღფრთოვანებს კიდევ უფრო თავდადებული, დაუღალავი მუშაობისათვის, უნერგავს შემდგომ დიდ წარმატებათა მიღწევის რწმენას და მოუწოდებს არ მიეცენ თვითდამშვიდებას, თვითკმაყოფილებას, იმუშაონ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ მუშაობდნენ, და ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს მუშაობენ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაუცხრომელი წინსვლის სულისკვეთება ახასიათებს და ამოძრავებს თბილისის სტალინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, რომელთა საუკეთესო, მოწინავე წარმომადგენლები 26 მაისს შეიკრიბნენ რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საწარმოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა დასასახავად.

ქალაქ თბილისის სტალინის რაიონში ოთხ ათეულზე მეტი სამრეწველო საწარმო და 12 საწარმოო არტელია. წელს 4 თვის განმავლობაში მათ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მოგვცეს 18.890 ათასი მანეთის პროდუქცია. საწარმოო არტელებმა 4 თვის გეგმა 100,7 პროცენტით გაანაღდეს.

საყურადღებოა, რომ საერთო პროდუქციის გადაჭარბებით გამოშვებასთან ერთად მნიშვნელოვანი გადამეტებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებაც. ჩვენი რაიონის სამრეწველო საწარმოებმა ამ 4 თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება 104,2 პროცენტით შეასრულეს, ხოლო არტელებმა 101,6 პროცენტით. ამასთან სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 1 მილიონი მანეთით და არტელებში — 400 ათასი მანეთით.

ეს მაჩვენებლები მოპოვებულია იმ საწარმოებში, სადაც შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით ამუშავებას, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საკითხებს მტკიცედ ჩაჰკიდეს ხელი, სადაც შექმნეს შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდის პირობები.

მაუდ-კამვოლის კომბინატში, სადაც დირექტორად ნ. თუშიშვილია, ხოლო პარტორგანიზაციის მდივნად შ. გურგენიძე მუშაობს, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად შეძლეს 4 თვეში 53.000 მეტრი ზეგეგმითი შალის ქსოვილის გამოშვება, ასორტიმენტის გეგმა შეასრულეს და პროდუქციის თვითღირებულება 588 ათასი მანეთით შეამცირეს.

წარმატებით მუშაობს ლითონის კონსტრუქციების ქარხნის კოლექტივი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები (დირექტორი ა. ფილიპოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ტურიაშვილი). ამ ქარხანაში პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა 121 პროცენტით განახორციელეს, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულეს, გაანაღდეს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების დავალება, 496 ათასი მანეთით შეამცირეს თვითღირებულება და მოგვცეს 232.000 მანეთი მოგება.

ასევე წარმატებით მუშაობენ თამბაქოს მეორე ფაბრიკის (დირექტორი თ. გოგოლაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ართილაყვა), ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის (დირექტორი დ. ივანიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. გიკაშვილი), ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (დირექტორი გ. მშვიდობაძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. მანდელანიშვილი) და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები.

შრომის სწორი ორგანიზაციის, არსებული ტექნიკის უკეთესად გამოყენების, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლისა და მისდამი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის შეუნელებელი მუშაობის შედეგად წელს საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა და მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა თამბაქოს პირველი ფაბრიკის კოლექტივმა.

წარმატებები მეტი იქნებოდა, რომ ყველა საწარმოში ისე ემუშავნათ, როგორც მუშაობდნენ მოწინავე საწარმოებში. არ შეიძლება ითქვას, თითქოს ამ მოწინავე საწარმოებში გააკეთეს ყოველივე, რაც საჭირო იყო, რომ გასაკეთებელი არაფერი დარჩენილა და ამიერიდან აქ უზრუნველყოფილია წარმოების შემდგომი აღმავლობის მიღწევა. პირიქით, მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მუშაობასაც ჯერ ისევ მრავალი ნაკლი ახასიათებს, ჯერ კიდევ მათ ბევრი აქვთ გასაკეთებელი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად, შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განსახორციელებლად, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დასანერგავად. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა საწარმოში არ გააკეთეს ის, რაც მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს მაღალი მაჩვენებლები მოუპოვებინათ.

არტელმა „ძაფ-მაუდმა“, რომელსაც საკმაოდ მოზრდილი საქსოვი საწარმო აქვს (არტელის თავმჯდომარე მ. ბერიძე), 4 თვის გეგმის შესრულებას 7 პროცენტი დააკლო, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 74.000 მანეთით გაადიდა და სახელმწიფოს 118 ათასი მანეთი ზარალი მიაყენა. აქ ვერც საასორტიმენტო დავალება შეასრულეს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 88,5 პროცენტამდე ძლივს აიყვანეს. ასევე ცუდი მაჩვენებლები აქვთ პირველ მექანიკურ პურსაცხობს (დირექტორი რ. კერესელიძე) და არტელებს „წითელ ისარს“, „ტუკომბინატს“, „გრეხილ ავეჯს“ და სხვ.

თუ ამ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზების ანალიზს მოვახდენთ, გამოირკვევა, რომ ჩამორჩენა გამოწვეულია შრომის დისციპლინის სისუსტით, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში ფორმალიზმით, რაციონალიზატორული მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობით და, რაც მთავარია, შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებისადმი ნაკლები ყურადღებით, მოუქნელი, უუნარო ხელმძღვანელობით.

ასეთი უუნარო, მოუქნელი და, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივად გულგრილი ხელმძღვანელობის სამარცხვინო ნიმუში მოგვცეს არტელ „ძაფ-მაუდის“ ხელმძღვანელებმა. მაგალითად, წელს 2 თებერვალს არტელიდან თბილვაჭრობის პავილიონში წაიღეს 103 მეტრი შალის ქსოვილი „სამგორი“. მაღაზიაში მიტანისას აღმოჩნდა, რომ ეს ქსოვილი არასტანდარტული და უხარისხო იყო, მისი გაყიდვა აიკრძალა. შემდეგ, როდესაც საწარმოდან ასეთი წუნის გამოშვების საქმის გამოძიება პროკურატურამ დაიწყო, აღმოჩნდა, რომ წუნდებული ქსოვილის გამოშვება გამოიწვია საქსოვი მანქანის ერთ-ერთი დეტალის — რეგულატორის უვარგისობამ. რეგულატორი რომ არ ვარგოდა ეს იცოდნენ არტელის ხელმძღვანელებმა, მაგრამ ისინი ასე მსჯელობდნენ — სულ ერთია, მაინც გასაღდება ჩვენი ქსოვილი და თავი რატომ შევიწუხოთო. საწარმოსადმი უსულგულო ხელმძღვანელობის ასეთი „ნიმუშია“ მოგვცეს ამ არტელის ხელმძღვანელებმა მ. ბერიძემ და კირუულიშვილმა. რასაკვირველია, ასეთ ხელმძღვანელებს საჭიროა წესრიგისაკენ მოვუწოდოთ.

უხეირო სამეურნეო ხელმძღვანელობის მაგალითებს გვაძლევენ ლენინშევის სახელობის ხე-ტყის გადამამუშავებელი და ფანერის ქარხნის ხელმძღვანელები. მთელმა თბილისმა იცის, რომ ამ ქარხნების პროდუქცია დაბალხარისხოვანია, მაგიდა მაგიდას არა ჰგავს, კარადა კარადას, ავეჯი დაუდევრად არის გაკრიალებული, ფანერა ზოგან ამობერილია, ზოგან დამსკდარი. ამავე დროს თბილელი მომხმარებლები დიდი ხალისით ეტანებიან ბალტიისპირეთის მომძმე რესპუბლიკებიდან ჩვენში შემოტანილ ავეჯს. რაშია საქმე, ნუთუ ჩვენს ოსტატებს არ შეუძლიათ გააკეთონ ისეთი და უკეთესი ავეჯი, როგორსაც ბალტიისპირეთში აკეთებენ? ცხადია, შეუძლიათ, მაგრამ ამას მათ არავინ ავალებს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პირობებს აღგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელები მათ არ უქმნიან, არავინ იწუხებს თავს ამ საწარმოებში არსებული ძველი ტექნიკის ახლით შესაცვლელად. ფანერის ქარხანაში, მაგალითად, აქვთ „მონეტა“ სისტემის ფანერისათლელი ჩარხი, რომელიც 80 წლის წინათ არის გამოშვებული. რასაკვირველია, ასეთი ტექნიკით ახლა შორს ვერ წავალთ, საჭიროა მისი შეცვლა სამამულო წარმოების გაუმჯობესებული ფანერსათლელი მანქანით.

საქარხნო დანადგართა მუშაობის გამართულობისათვის, საერთოდ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში უდიდეს ძალას წარმოადგენენ რაციონალიზატორები. თბილისის სტალინის რაიონის საწარმოებში გვყავანან გამოჩენილი რაციონალიზატორები, რომლებიც წინ სწევენ ტექნიკას, აუმჯობესებენ ტექნოლოგიას და ნერგავენ მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდებს. ასეთები არიან თამბაქოს პირველი ფაბრიკის მექანიკოსი ვ. სოლომკო, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა ბ. რეიმიზოვი, რძის კომბინატის მუშა ლ. გამხიტაშვილი და მრავალი სხვა. მაგრამ ამ ადამიანებს, ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლებს ზოგან დახმარების ნაცვლად ყოველგვარი ბიუროკრატული ხნირეკედელაობით უშლიან ხელს.

მაუდ-კამვოლის კომბინატის, ლითონკონსტრუქციების ქარხნის, თამბაქოს პირველი და მეორე ფაბრიკების, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის და მთელი რიგი სხვა დაწინაურებული საწარმოების მუშაობის გამოცდილება გაკვეთილად უნდა გამოიყენონ ჩამორჩენილი საწარმოების ხელმძღვანელებმა, უწინარეს ყოვლისა ამ საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ეს გამოცდილება მათ უკარნახებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ თავიანთი საწარმოს ეკონომიკას, დაუცხრომლად იმუშაონ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. ამისათვის საჭირო იქნება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაღრმავება, საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი კონტროლის უფლების უნარიანად გამოყენება, კომუნისტებისა და ყველა მუშის დარაზმვა ტექნიკური პროგრესისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიური დახმარება გაუწიონ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებაში. შრომის გაუმჯობესებული ხერხებისა და მეთოდების ყველა მუშის კუთვნილებად გადაქცევაში.

ვ. პეტრიაშვილი.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი. სურათზე: საქსოვი საამქროს ერთი კუთხე.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

აი რა ითქვა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

რაციონალიზატორი და მისი „ხელისშემწყობი“

თბილისის რძის კომბინატში მთავარ ინჟინრად მუშაობს ამხ. ი. კეკელიძე. იმავე კომბინატში მუშაობს ერთი დაუცხრომელი კაცი ლ. გამხიტაშვილი, რომელიც მუდამ ახლის ძიებაშია. და აი 1954 წლის 19 ოქტომბერს ამ დაუდეგარმა რაციონალიზატორმა დაარღვია მთავარი ინჟინრის კაბინეტის მყუდროება: წარადგინა რაციონალიზატორული წინადადება, რომლის განხორციელებითაც კომბინატში საგრძნობლად შემცირდებოდა წარმოებისათვის საწვავის ხარჯი.

ინჟინერმა კეკელიძემ, რომელიც ხელმძღვანელობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ადგილობრივ ბიუროს, გამხიტაშვილის ეს წინადადება მაუდქვეშ ამოდო და ასე „შენახული“ ჰქონდა 1955 წლის 5 მაისამდე.

ლ. გამხიტაშვილი კი ჩვეულებრივ „მოუსვენრობას“ იჩენდა. იცადა ერთი თვე, მეორე თვეც, მეტიც და როცა დარწმუნდა, რომ არაფერი გამოდიოდა, მისი წინადადების განხორციელებას არც კი ფიქრობდნენ, თვითონვე შეუდგა თავის წინადადების დანერგვას. ეს მუშაობა მან 1955 წლის 15 თებერვალს მოათავა.

გამხიტაშვილის ამ ინიციატივამ საწარმოს შესანიშნავი შედეგი მისცა. 15 თებერვლიდან რძის კომბინატში ქვანახშირის ყოველთვიური ხარჯი 40 ტონით შემცირდა, საწარმომ მნიშვნელოვანი ეკონომია მიიღო. რა უნდა ეთქვა ამის შემდეგ ი. კეკელიძეს? ახლა დადგა დრო, რომ მას დაეწყო ლოდინი... ამ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგებისათვის. იცადა ერთ თვეს, ორ თვეს და რაკი დარწმუნდა, რომ „საქმეს“ აღარ შემოევლებოდა, აიღო და 5 მაისს მოაწყო გამხიტაშვილის წინადადების განხილვა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროზე, რომელმაც, ცხადია, კარგი საქმე მოიწონა.

ახე გამოამეღვნა კეკელიძემ თავისი უსულგულო დამოკიდებულება რაციონალიზატორისადმი.

მეტი ყურადღება დაბეგვვას

არსებობს თბილისში ლუდ-ლიმონათის ტრესტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ო. ჩუბინიშვილი. ამ ტრესტს აქვს ლუდის და ლიმონათის ქარხნები. ეს ქარხნები კი გეგმიანად უნდა მუშაობდნენ.

შარშან ლუდ-ლიმონათის ტრესტმა ლუდის პირველ ქარხანას მისცა გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო 70 ათასი ბოთლი ყიგულის ლუდის ჩამოსხმა, თუმცა ტრესტმაც იცოდა და მისმა ზემდგომმა სამინისტრომაც, რომ ამ ქარხანაში ბოთლებში ლუდის ჩამოსასხმელი საამქრო არ იყო მოწყობილი. როგორ უნდა შეესრულებინა ქარხნის კოლექტივს ასეთი დავალება? ვინაიდან გეგმა კანონია, ხოლო კანონის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობაა დაწესებული, ქარხანაში შეუდგნენ ლუდის ბოთლებში ჩამოსასხმელი საამქროს მოწყობას იმ შენობაში, სადაც ე. წ. ალოას ამზადებდნენ (სხვა გამოსავალი მართლაც არ ჰქონდათ ბინის სივიწროვის გამო). ამ ღონისძიებამ გამოიწვია ალოას (ლუდის დასაყენებელი მასალის) გამომუშავების შემცირება, რაც ქარხანას საერთო გეგმის სრულ ჩაშლას უქადდა.

ხელახლა დაიწყეს ალოას საამქროს აღდგენა და ამრიგად ბოთლებით ლუდის გამოშვების საქმე მაინც ჩაიშალა.

საფიქრებელი იყო, რომ ტრესტი შარშანდელ ამ გაკვეთილს მხედველობაში მიიღებდა, ჯერ ბაზას მოაწყობდა და შემდეგ ქარხანას მისცემდა დავალებას ბოთლებით ლუდის გამოშვების შესახებ. ტრესტმა კი, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოში სათანადო საამქრო ახლაც არ არის მოწყობილი, ქარხანას მაინც მისცა 5 ათასი ბოთლი ლუდის ჩამოსხმის გეგმა. როგორ უნდა მოახერხონ ქარხანაში ბოთლებით ლუდის გამოშვება, ეს ალბათ ტრესტის საიდუმლოებას შეადგენს.

უთავბოლო დაგეგმვის მეორე მაგალითია ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტში (მმართველი ამხ. გოგიტიძე).

1955 წლის 12 თებერვალს (ერთ თვეზე მეტი დაგვიანებით) ტრესტმა თბილისის რძის კომბინატს მისცა პირველი კვარტალის საგეგმო დავალება, რომელიც 1.844 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას გულისხმობდა. 24 მარტს ტრესტიდან კომბინატში მიიღეს პირველი კვარტალის . მეორე „დაზუსტებული“ გეგმა (კვარტალის ბოლომდე 6 დღე დარჩა), რომელიც 1.750 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას გულისხმობდა. 22 აპრილს ტრესტიდან მიიღეს „შესწორებული“ წლიური გეგმა, რომელიც პირველი კვარტალის უკვე სხვა მონაცემებს შეიცავდა.

კომბინატში ამ გეგმის მონაცემებთან გაცნობაც ვერ მოასწრეს ხელრიანად, რომ 8 დღის შემდეგ მეორე, კვლავ „შესწორებული“ წლიური გეგმა მიიღეს.

6 მაისს კომბინატში მიიღეს მეორე კვარტალის „დაზუსტებული“ გეგმა, რომელიც, ცხადია, წლიური გეგმის „შეხებამისად“ იყო შედგენილი. გეგმების ორომტრიალი ამით არ დასრულებულა. 16 მაისს კომბინატში მეორე კვარტალის ახალი „შესწორებული“ გეგმა მიიღეს, ისიც წლიური გეგმის „შეხებამისად“ შედგენილი.

ნედლეულის მომმარაგებლისათვის

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში თათბირის ყურადღება მიაპყრო მრეწველობაში ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვაში მომჭირნეობის საკითხებს.

მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგ საწარმოში მუშაობის ეს უბანი მივიწყებულია. მაგალითად, კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ერთ-ერთი დეტალის დასამზადებლად საჭიროა 158,7 კილოგრამი წონის სპეციალური მილი. ასეთი მილის უქონლობის გამო ამავე დეტალის გამოჩარხვას ახდენენ 230-კილოგრამიანი მილიდან. ერთი დეტალის მისაღებად ლითონის ნათალის სახით დანაკარგი 71,3 კილოგრამს აღწევს. ლითონის დანაკარგი ერთია და დანარჩენი ხარჯები სხვა. ამავე დეტალის დამუშავება, იმის გამო, რომ მას ზედმეტი შრომა სჭირდება, ქარხანას გეგმით გათვალისწინებულზე 21 მანეთით და 33 კაპიკით მეტი უჯდება.

იმავე ქარხანაში ამძრავი ლილვის დამუშავება ნაცვლად ტექნოლოგიური წესით გათვალისწინებული გარკვეული ზომის რკინის ზოდისა ხდება უფრო დიდი ზომის ზოდისაგან. თვითეული ასეთი ლილვის დამუშავებისას ქარხანა კარგავს 75,6 კილოგრამ ლითონს და 23 მანეთს და 43 კაპიკს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუწესრიგებლობა, ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტად დაცვის უგულებელყოფა იწვევს ძვირფასი ნედლეულის გადახარჯვას სხვა საწარმოებშიც. წელს მარტი პირველ კვარტალში ხელეული სასმელების ქარხანაში (დირექტორი ამხ. შ. ჯიჯელავა) გადახარჯეს 410 კილოგრამი შაქარი, 9,1 ტონა საწვავი. ბურის მეხუთე ქარხანაში (დირექტორი ამხ. ა. ქადაგიძე) გადახარჯეს 1,4 ტონა 85-პროცენტიანი ფქვილი, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანაში — 20 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა, 900 კილოგრამი საწვავი.

★ ბიბლიოთეკა

კოოპერირებას — ფართო გზა

სამანქანო დეტალების ქარხნის დირექტორის დ. სამადაშვილის სიტყვიდან

— თბილისის სამანქანო დეტალების ქარხანას, რომელიც საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სისტემაში შედის, ბევრად უფრო კარგად შეუძლია იმუშაოს, ვიდრე ახლა მუშაობს. საწარმოთა კოოპერირება სპეციალიზებულ ქარხნებთან ერთ-ერთი ის ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს საერთო აღმავლობას. მოვიყვან ასეთ მაგალითს:

კოსტერევის მაქო-კოჭების ქარხანა შესანიშნავი ხარისხის მაქოებს და კოჭებს უშვებს. იმის გამო, რომ წელს ეს ქარხანა დაკვეთებით არ არის დატვირთული, მაქო-კოჭების გამოშვების გეგმა იქ 172.000 ცალით შეამცირეს. მერვედი ნაწილი ამ პროდუქციისა კი სავსებით უზრუნველყოფდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილებას. ამავე დროს ჩვენს ქარხანაში ვამზადებთ გაცილებით უფრო ნაკლები ხარისხის მაქოებს, ეს პროდუქცია უფრო ძვირი ჯდება და ამავე დროს გვაქვს ხე-ტყის მასალის დიდი დანაკარგი, ვინაიდან ქარხანა აღჭურვილი არ არის მაქო-კოჭების გამოშვებისათვის საჭირო უახლესი ტექნიკით. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სამინისტრომ მიიღოს ზომები ჩვენი ქარხნის კოოპერირებისათვის კოსტერევის მაქო-კოჭების სპეციალიზებულ ქარხანასთან.

სამაგიეროდ ჩვენი ქარხანა შეძლებს სხვა სამანქანო დეტალების გამოშვების გადიდებას, რაც სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ხელსაყრელი იქნება.

სამანქანო დეტალების ქარხნის კოლექტივს საჭიროდ და მიზანშეწონილად მიაჩნია ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს ამ ქარხნის პროფილი. ხომ არ იქნებოდა უფრო ხელსაყრელი, რომ ჩვენივე სამინისტროს რამდენიმე წვრილი საწარმო, რომლებიც ჩვენივე ქარხნის მეზობლად არიან, ერთ საქარხნო სამმართველოში გავაერთიანონ.

საწარმოთა კოოპერირება, მმართველობის აპარატის გაუმჯობესება დიდად შეგვიწყობს ხელს შემდგომი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირელები — მოწინავე ხაზზე

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივნის ლ. ბიორხელიძის სიტყვიდან

— ჩვენი ფაბრიკის კომკავშირელები მტკიცედ დარაზმული დგანან წარმოების მოწინავეთა რიგებში. ტ. აზალაძე, შ. ზარიევი, ს. ნაცვლიშვილი, კ. ბაიდაური და სხვები ფაბრიკის მთელი კოლექტივის საამაყო ადამიანები არიან.

მაგრამ როგორც კომკავშირელებს, ისე მთელ კოლექტივს უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში აფერხებს საფაბრიკო ტექნიკის ჩამორჩენილობა. ჩვენს ფაბრიკაში არ არის კოლოფებში პაპიროსჩასაწყობი, სიგარეტების სატენი, მზა პროდუქციის გადაზიდვის მექანიზმები. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე ჩვენთან ავტომატიკის დანერგვას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, არამედ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისთვისაც. ჩვენს მოწინავე კომკავშირელს პ. ფიცხელაურს ხშირად უხდება გაწითლება იმისათვის, რომ ზოგჯერ კოლოფებში პაპიროსის ხელით ჩაწყობისას შეცდომა მოსდის.

მოგვეცით პაპიროსის ჩასაწყობი ავტომატები, მოგვეხმარეთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებაში, — ამას მოვითხოვთ კომკავშირელები საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსაგან.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანები

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მომართვაში, რომელსაც ახლა მასობრივად ეცნობიან ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები, ჩამოყალიბებულია ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დგას მრეწველობის მუშაკთა წინაშე და რომელთა გადაჭრა აუცილებელია შემდგომი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მრეწველობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად.

საბჭოთა ადამიანები სიამაყით აღნიშნავენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი ძმეინდუსტრია ახლა 3,5-ჯერ მეტ პროდუქციას გვაძლევს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს გვაძლევდა, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში ომამდელ პერიოდთან შედარებით თუჯის გამოშვება გაიზარდა 2-ჯერ, ფოლადისა — 2,3-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 2,1-ჯერ, ნავთობისა — 1,9-ჯერ, ელექტროენერგიის გამოშვება — 3-ჯერ და მანქანებისა და სამრეწველო მოწყობილობებისა — 4-ჯერ.

ყოველივე ეს ჩვენი მრეწველობის მუშაკებს აღფრთოვანებს კიდევ უფრო თავდადებული, დაუღალავი მუშაობისათვის, უნერგავს შემდგომ დიდ წარმატებათა მიღწევის რწმენას და მოუწოდებს არ მიეცენ თვითდამშვიდებას, თვითკმაყოფილებას, იმუშაონ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ მუშაობდნენ, და ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს მუშაობენ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაუცხრომელი წინსვლის სულისკვეთება ახასიათებს და ამოძრავებს თბილისის სტალინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, რომელთა საუკეთესო, მოწინავე წარმომადგენლები 26 მაისს შეიკრიბნენ რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საწარმოების მუშაობის



ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სახალხო მეურნეობაში მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საქმის უკეთესი ორგანიზაციის, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის 28 მაისს ბრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია იუგოსლავიაში

კუნძული ბრიონი, 29 მაისი. (საკავშირო სპეც. კორ.). 28 მაისს ღამით ბელგრადიდან კუნძულ ბრიონზე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით საპატიო ტატარებლით გაემგზავრნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

იმავე მატარებლით სსრ კავშირის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ პრეზიდენტი იოსიპ ბროზ-ტიტო, ედვარდ კარდელი, ალექსანდრე რანკოვიჩი და იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები. ორივე დელეგაციის მატარებელში ახლავან მათი მრჩეველები, ექსპერტები, აგრეთვე საბჭოთა და იუგოსლავი ჟურნალისტები.

საპატიო მატარებლის გზის საბოლოო პუნქტში — ქალაქ კარლოვაცში სტუმრებს შეხვდნენ და მიესალმნენ ქალაქის ხელისუფალთა და ადგილობრივი სარდლობის წარმომადგენლები: ქალაქაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე ბოჟო ბენიჩი, საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მილოვოე ტომიცა, სკუპშინის დეპუტატი მიხა პავლაჩიჩი, დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი მატო ბილობრიკი.

კარლოვაციდან საბჭოთა მთავრობის დელეგაცია იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციასთან და მათ მხლებელ პირებთან ერთად ავტომანქანებით გაემგზავრა ქალაქ პულამდე ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ხოლო შემდეგ იახტით კუნძულ ბრიონზე.

საბჭოთა სტუმრებსა და იუგოსლავიის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებს მთელი მრავალი საათის მგზავრობისას მხურვალედ მიესალმებოდნენ სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნი. ბელგრადიდან კარლოვაცში მგზავრობისას რკინიგზის სადგურებში სპეციალურ მატარებელს, მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო და განუწყვეტლივ წვიმდა, ხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც სტუმრებს ტაშით და ხელის აწევით მიესალმებოდა.

გემთსაშენში და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრში — რიეკაში, საკურორტო ქალაქ ოპატიაში და პაზინში, მაღაროელთა ქალაქ რაშაში და ადრიატიკის სანაპიროს სხვა ქალაქებსა და დასახლებებში მოსახლეობა ჩამწკრივებული იყო იმ ქუჩების გაყოლებით, რომლებითაც საბჭოთა სტუმრებისა და იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეების ავტომანქანები მიდიოდნენ. მოსახლეობა გამოთქვამდა გულითად სიმპათიას საბჭოთა ხალხისადმი და სურვილს განმტკიცდეს იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე.

ბრიონზე ყოფნისას ორივე დელეგაცია განაგრძობს აზრების გაცვლას იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკებისათვის

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. მოლაპარაკება დაიწყება ლონდონში 1 ივნისს.

საბჭოთა კავშირის მხრივ აღნიშნული მოლაპარაკების წარმოება დაეკისრა საბჭოთა ელჩს ინგლისში ი. ა. მალიკს. (საკდესი).

ილანდიის პარლამენტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის შესახებ

როგორც ისლანდიის მოსკოვის მისია იუწყება, ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისლანდიის პარლამენტს (ალტინგს) გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციის ტექსტი. ალტინგის პალატების თავმჯდომარეთა პასუხში ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ნათქვამია: „მოვეთათბირეთ რა ალტინგში წარმოდგენილ პარტიებს, ამით გამოთქვამთ აზრს, რომ პარლამენტებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტი და პარლამენტის წევრთა ურთიერთვიზიტები აქტიურად შეუწყობდნენ ხელს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს და ამიტომ მხარს ვუჭერთ ამ იდეას“.

ისლანდიის მისიის თხოვნით ალტინგის პალატების თავმჯდომარეთა პასუხი ეცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის მთავრობის დელეგაცია

28 მაისს მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ურთიერთობის ტრანზიტის შესახებ შეთანხმების დასადებად.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო ბანკის დირექტორი ბ-ნი აბდიზულა, მონომპოლიათა სახელმწიფო სამმართველოს უფროსი ბ-ნი აბდულა რაფტალი და ნაციონალური ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოვალეობის ამსრულებელი ბ-ნი მუჰამედ სარვარი.

დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ფ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ვ. ბ. სპანდარიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი ვ. კ. მიხინი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ი. ი. დოკუჩაევი.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი გულამ იაჰია ტარზი, რომელიც მეთაურობას გაუწევს ჩამოსულ ავღანეთის დელეგაციას.

მოსკოვს ჩამოვიდნენ იუგოსლავიის მსახიობები

28 მაისს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მსახიობთა ჯგუფი.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან ბელგრადის ოპერისა და ბალეტის სახალხო თეატრის სოლისტები ვილმა ბუკოვეკი (სოპრანო), მორისლავ ჩანგალოვიჩი (ბანი), ალექსანდრე მარინკოვიჩი (ტენორი) და პიანისტი-კომპანიატორი მარიან ლიპოვშეკი.

იუგოსლავიის მსახიობები გამართავენ კონცერტებს, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის თეატრების საოპერო სპექტაკლებში.

სტუმრებს ვნუკოვოს აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის წარმომადგენლები. ჩამოსულთ შეხვდნენ აგრეთვე იუგოსლავიის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლები. (საკდესი).

საბჭოთა მეცნიერები უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებად აირჩიეს

ბუდაპეშტი, 29 მაისი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ გაიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც აირჩია აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე აკადემიის მთელი რიგი ახალი ნამდვილი წევრები და წევრი-კორესპონდენტები.

საერთო კრებამ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებად აირჩია მთელი რიგი უცხოელი მეცნიერები, მათ შორის საბჭოთა აკადემიკოსები — ისტორიკოსი ა. მ. პანკრატოვა, ეკონომისტი ე. ს. ვარგა, მათემატიკოსი ი. მ. ვინოგრადოვი, ბოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იან დომბროვსკი, ჩეხოსლოვაკიის აკადემიკოსი იაროსლავ გეიროვსკი, რუმინელი აკადემიკოსი კონსტანტინე პარხონი და სხვები.

საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესი მოქმედებაში

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის დავალების ორ წელიწადში შესრულებას

კოლმეურნეობის რეზერვები და ღონისძიებანი

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ამჟამად მთავარი ამოცანა ის არის, რომ პარტიის მიერ დასახული საბრძოლო დავალებანი ვადამდე შეკასრულოთ.

საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალმა წესმა დიდი პერსპექტივები გადაგვიშალა. იგი საშუალებას გვაძლევს მოკლე ვადაში გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, მთლიანად გამოვიყენოთ ყველა რეზერვი.

კოლმეურნეობაზე სახელმწიფო აქტით სულ მიმაგრებულია 11.289 ჰექტარი მიწა, აქედან სახნავი — 4.334 ჰექტარი, საძოვარი — 3.039 ჰექტარი. ამას გარდა გვაქვს 25,81 ჰექტარი ვენახი, 6,33 ჰექტარი ხეხილის ბაღი, რამდენიმე ათეული ჰექტარი თუთის პლანტაცია, აკაციის ნერგი, ტუჩქნარი, 2.850 ჰექტარი ტყე და სხვ.

კოლმეურნეობაში წამყვანი ადგილი უკავია მარცვლეულის წარმოებას და საზოგადოებრივ მეცხოველეობას. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს 2.929 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 21,6 ცენტნერი მარცვლეული, 2.505 ჰექტარი ხორბლის ნათესის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 22,7 ცენტნერს მიაღწია. ასევე მზესუმზირას და ქერის მაღალი მოსავალი მოვიყვანეთ. სიმინდი გვეთესა 255 ჰექტარი. აქედან კი შედარებით დაბალი მოსავალი მივიღეთ, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაცული არ იყო სიმინდის მოყვანის აგროწესები.

მეცხოველეობის განვითარება, მისი პროდუქტიულობის ამაღლება დამოკიდებულია მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. შარშან საკმაოდ დავაგროვეთ პირუტყვისათვის კონცენტრირებული, უხეში და წვნიანი საკვები. გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ სიმინდი ძვირფასი მარცვლეული და საკვები კულტურაა. შარშან პირველად დავასელოსეთ 1.000 ტონა სიმინდი რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. აქედან საუკეთესო შედეგი მივიღეთ. ძროხების წველადობამ საგრძნობლად იმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი ერთგვარი წარმატებით დაამთავრა. შარშან 405 საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობამ თვითეულ ძროხაზე შეადგინა 1.171 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრისა. გვყავდა 108 დედაღორი და საშუალოდ თვითეულზე მივიღეთ 16,5 გოჯი, თვითეულ ქათამზე — 82,5 კვერცხი.

მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის ზრდამ გამოიწვია ფულადი შემოსავლის გადიდება და შარშან 3.835.460 მანეთს მიაღწია. აქედან მეცხოველეობის შემოსავალმა შეადგინა 1.089.239 მანეთი. თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 8 კილოგრამი მარცვლეული, რვაასი გრამი მზესუმზირა, 5 მანეთი ფულად. კოლმეურნეებმა შრომადღეებზე მიიღეს აგრეთვე ყავილი, ჯარაქი, ღვინო და სხვა პროდუქტები.

კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად, აქტივისა და სპეციალისტების — ზოოტექნიკოს გ. დალაქიშვილის, აგრონომ დ. ღვინიაშვილის დახმარებით ყოველმხრივ შეისწავლა კოლმეურნეობის მინდვრებზე განლაგებული სათესი კულტურების სტრუქტურა, მეცხოველეობის რენტაბელობა, რეზერვები. გადაწყვიტეთ ორ წელიწადში გავანაღდოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანა.

რა წყაროების საშუალებით მივაღწევთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას 1955-1956 წელს? ამის ძირითად საფუძველს მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა წარმოადგენს. განსაკუთრებით ვადიდებთ სიმინდის ფართობებს. წელს დავთესეთ 420 ჰექტარი სიმინდი, დამატებით ნაწვერალზე დავთესავთ 60 ჰექტარს, ხოლო 1956 წელს სიმინდის ფართობი გაიზრდება რვაას ჰექტარამდე, ნაწვერალზე ნათესი სიმინდი — 100 ჰექტარამდე. ჩვენი დაგეგმვის თანახმად 1955 წელს მოველით ასეთ მოსავალს:

სიმინდი:	მოსავლიანობა 1 ჰექტარზე (ცენტ.)	მოეგებული იქნება საკვები 1 ჰექტარზე	პროცენტებით სიმინდთან შეფარდებით
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	60	2.400	
ღერო სილოსისათვის	200	3.000	
სულ		5.400	100
ერთწლიანი ბალახები (თივად)	60	1.158	21,5
მრავალწლიანი ბალახები (თივად)	40	708	14,6
ძირხვენები	180	1.440	26,6
ქერი:			
მარცვლად	20	2.400	
ნამჯა	20	720	
სულ		3.120	58

ამ ცხრილიდანაც ჩანს სიმინდის კვებითი ღირებულების დიდი უპირატესობა. ეს მაჩვენებლები შემდეგი იქნება 1956 წელს:

სიმინდი:	მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე (ცენტ.)	მოეგებული იქნება საკვები ერთ ჰექტარზე	პროცენტებით სიმინდთან შეფარდებით
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	80	3.200	
ღერო სილოსისათვის	250	3.500	
სულ		6.700	100
ერთწლიანი ბალახები (თივად)	60	1.158	17,2
მრავალწლიანი ბალახები (თივად)	60	1.062	17,3
ძირხვენები	250	2.000	29,9
ქერი:			
მარცვლად	25	3.000	
ნამჯა	25	900	
სულ		3.900	58,2

კოლმეურნეობამ გადაწყვიტა სიმინდის ფართობების გადიდება მოახდინოს ნაკლებ რენტაბელური კულტურებისა და საძოვრების ხარჯზე. აგრეთვე საძოვრების გაუმჯობესების მიზნით შემოღებულია ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვა. წელს ცალკე გვაქვს გამოყოფილი სიმინდის სათესლე ნაკვეთები, სადაც ჩავატარებთ ხელოვნურ დამტვერვას ჰიბრიდული თესლის მისაღებად. მომავალ წელს სიმინდის მთელი ფართობი დაითესება ჰიბრიდული თესლით, რაც მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა. დიდ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე სიმინდს მარცვლად მივიღებთ 25 ცენტნერს, ხორბალს — 20 ცენტნერს, 1956 წელს სიმინდს — 30 ცენტნერს, ხორბალს — 25 ცენტნერს. ამრიგად, სიმინდის მოსავლიანობა წელს შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე იზრდება 16,3 ცენტნერით, ხოლო 1956 წელს — 21,3 ცენტნერით.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ზუსტად ვიცავთ აგროტექნიკურ წესებს. მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობზე ზამთრის პერიოდში გატანილია 1.447 ტონა ორგანული სასუქი, ხოლო შემდეგ — 258 ტონა მინერალური სასუქი.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება



კოლმეურნეები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას. პარტიის მიერ დასახული ამოცანას ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე რძის, ყოველ ას ჰექტარ სახნავზე ღორის ხორცის, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე კვერცხის წარმოების გადიდების შესახებ შევასრულებთ ორ წელიწადში. ამ მიზნით ვადიდებთ საფურაჟე ძროხების რაოდენობას და, რაც მთავარია, წველადობას ფერმებში. თუ შარშან ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე გვყავდა 7,3 ძროხა, წელს გვეყოლება 8,8 ძროხა, ხოლო 1956 წელს — 10 ძროხა. აქედან საუკეთესო ფერმა, მეცხოველეობის განვითარებისა და ბაზის ცენტრად ითვლება ბ. ბ. ბ. ... ...

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრებამ დაამტკიცა ვარშავის ხელშეკრულება

სოფია, 28 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დღეს გაიმართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების რიგგარეშე სესია. სესიაზე განიხილეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი.

მოხსენება ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირის შესახებ გააკეთა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილკო ჩერვენკოვმა. მან სახალხო კრებას მიმართა წინადადებით დაემტკიცებინა ვარშავის ხელშეკრულება. ვილკო ჩერვენკოვის სიტყვამ რამდენჯერმე გამოიწვია ტაში.

ვ. ჩერვენკოვის მოხსენების შემდეგ ვარშავის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისიის დასკვნის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა დეპუტატმა აკადემიკოსმა საბა განოვსკიმ.

შემდეგ გაიმართა კამათი ვ. ჩერვენკოვის მოხსენების გამო. ყველა გამოსული დეპუტატი მიესალმებოდა ვარშავის ხელშეკრულების ხელმოწერას.

სახალხო კრების სესიამ ერთხმად დაამტკიცა ვარშავის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. დეპუტატები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ ამ გადაწყვეტილებას.

ალბანეთის სახალხო კრებამ დაამტკიცა ვარშავის ხელშეკრულება

ტირანა, 28 მაისი. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დღეს გაიმართა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების საგანგებო სესია. სესიამ განიხილა საკითხი ვარშავაში 8 ქვეყნის მიერ ხელმოწერილი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ვარშავის თათბირზე ალბანეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა მეჰმეთ შეხუმ. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მეჰმეთ შეხუმ წინადადება შეიტანა, რომ სახალხო კრებამ მოიწონოს ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ალბანელი ხალხის უმაღლეს ინტერესებს და ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს ინტერესებს.

დეპუტატები მჭუხარე ტაშით მიესალმნენ მეჰმეთ შეხუს სიტყვას.

მთელი რიგი დეპუტატების სიტყვების შემდეგ სახალხო კრებამ ერთსულოვნად დაამტკიცა ვარშავის ხელშეკრულება.

რუმინეთის დიდი ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიაში

ბუქარესტი, 29 მაისი. (საკდესი). 28 მაისს გაიმართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომაზე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონ პეტრიმა გააკეთა მოხსენება ვარშავის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფოს შორის დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესახებ. განხილვის შედეგად კომისიამ ერთსულოვნად მოიწონა ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება და რეკომენდაცია მისცა დიდ ეროვნულ კრებას დაამტკიცოს ეს ხელშეკრულება.

დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომიტეტის სესია

პარიზი, 28 მაისი. (საკდესი). პარიზში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომიტეტის სესია. კომიტეტმა განიხილა პროექტიული საკითხები, რომლებიც ეხება საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზაციას, რომელიც ქენევაში გაიმართება 8-დან 20 აგვისტომდე. სესიის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ საკონსულტაციო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად საერთაშორისო კონფერენციის პლენარული სხდომების შემდეგ შეიქმნება სამი კომისია: რეაქტორების ტექნოლოგიის და მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შემსწავლელი, რეაქტორების გამოყენების მეტალურგიული ასპექტებისა და ბიოლოგიაში, მედიცინასა და მრეწველობაში იზოტოპების გამოყენების კომისიები.

საკონსულტაციო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქენევის კონფერენციაზე ლექციების წასაკითხავად მეცნიერების სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის მოიწვიოს საბჭოთა მეცნიერები ვ. ი. ვექსლერი და ა. ლ. კურსანოვი.

როგორც ეურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, საკონსულტაციო კომიტეტმა პრინციპულად მოიწონა სსრ კავშირის წარმომადგენლის წინადადება, რომ მოწვეულ იქნას კომიტეტის კიდევ ერთი სესია ქენევის საერთაშორისო კონფერენციის წინ კონფერენციის ორგანიზაციის დარგში მოსამზადებელი მუშაობის დასაძთავრებლად.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

სოფია, 28 მაისი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა 1955 წლის 1 თებერვლის წერილით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიიწვია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციაში, რომელმაც უნდა განიხილოს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხები. ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იწვევს 8-დან 20 აგვისტომდე ქენევაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით აცნობა, რომ ბულგარეთის მთავრობა იღებს ამ მიწვევას და მონაწილეობას მიიღებს კონფერენციის მუშაობაში.

იუგოსლავიის პრესა მოლაპარაკებების შესახებ

ბელგრადი, 28 მაისი. (საკდესი). დღეს ბელგრადის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის გუშინ დაწყებული მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები ათავსებენ აგრეთვე დაწვრილებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი და საბჭოთა და იუგოსლავიის ომ მეომრების ძეგლი, რომლებიც დაეცნენ ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, და ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის დელეგაცია დაესწრო სპექტაკლს ბელგრადის სახალხო თეატრში.

გაზეთებმა „ბორბამ“ და „პოლიტიკამ“ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებას უძღვნეს სტატიები, თავიანთი უცხოელი კორესპონდენტების ცნობები უცხოეთში, უმთავრესად დასავლეთის ქვეყნებში, მოლაპარაკებაზე, გამოხმაურების შესახებ და დასავლეთის საagენტოების კომენტარები.

გაზეთი „პოლიტიკა“ აცხადებს, რომ „იუგოსლავიის პოლიტიკა ყველა ქვეყნის მიმართ, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, ემყარება ურყევ პრინციპებს“ და რომ „ყველაზე არსებითად მათ შორის ბელგრადში მიიჩნიეთ „აქტიური თანაარსებობისა და ხალხთა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ყველა ღია საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის პრინციპი“. იუგოსლავიის ასეთი პოლიტიკა, ნათქვამია სტატიაში, ნიშნავს, რომ „იგი უარყოფს ბლოკების კონცეპციაზე დამყარებულ ურთიერთობას“ და რომ მან ამიტომ ესოდენ დადებითად შეაფასა ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

გაზეთი „ბორბა“ სტატიაში „იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის სასახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკება“ „ყველაზე ავტორიტეტული საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლისა და სასახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკების უმაღლეს დონეზე წარმოების ფაქტს“ აფასებს როგორც „საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაციაში მნიშვნელოვანი პროგრესის“ დადასტურებას.

„რა თქმა უნდა, — წერს გაზეთი, — ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას მიესალმება ყველა, ვინც მშვიდობის საქმეს ემხრობა, რადგან არავითარი ეჭვი არ არის, რომ დედამიწის ამ ნაწილში არსებული არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს ვითარების საერთო სტაბილიზაციას“.

აღნიშნავს რა, რომ ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი, რაც ორი წლის წინათ დაიწყო, დადებითად ვითარდება, გაზეთი აცხადებს, რომ „საჭიროა ათასლად გამოირკვეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შემდგომი სასახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ჩარჩოები და ბაზა. საჭიროა ერთობლივად ჩამოყალიბდეს და შეიქმნას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სასახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ისეთი ბაზა, რაც დამყარებული იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე, როგორიც უკვე არსებობს იუგოსლავიის ურთიერთობაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან“.

შემდეგ გაზეთი წერს, თუ როგორი უნდა იყოს, მისი აზრით, ეს ბაზა. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს იუგოსლავიის საზოგადოებრიობის სოლიდარობას „საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების იმ ნაწილთან, რომელშიც იგი ამბობს, რომ ბელგრადის შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას“, აგრეთვე განცხადების იმ ადგილებთან, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნულია სსრ კავშირის მისწრაფება სხვა ქვეყნებთან თავისი ურთიერთობა განავითაროს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის და სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპებზე, თავდაუსხმელობის პრინციპებსა და ზოგი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შეუწყნარებლობის აღიარების პრინციპებზე.

„ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კონკრეტული წვლილი, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შეუძლია შეიტანოს დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღების საქმეში, — წერს „ბორბა“, — ყოველ ეჭვს გარეშეა არის ჩვენი სასახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ღია საკითხების გადაწყვეტა“.

„ნათელი პასუხი“

რუმინეთის პრესა საბჭოთა მთავრობის 26 მაისის ნოტის შესახებ

ბუქარესტი, 28 მაისი. (საკდესი). რუმინეთის პრესა კვლავ უკეთებს კომენტარს საბჭოთა მთავრობის ნოტას ოთხი სახელმწიფოს თათბირის საკითხზე. გაზეთი „რომინია ლიბერა“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ნათელი პასუხი“ წერს: საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში კვლავ აცხადებს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს შეასრულოს თავისი ამოცანა, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ამ მიზანს დაისახავს და კეთილ ნებას გამოიჩენს.

მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის რუმინელი ხალხიც, წერს გაზეთი, მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი არა მარტო სასარგებლო, არამედ აუცილებელიც იქნებოდა. ასეთ თათბირს წარმატების ყველა შანსი აქვს, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ეცდება, რომ მშვიდობის ინტერესებისათვის საფუძველი ჩაუყაროს ყველა იმ გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემათა დადებითად გადაჭრას, რომლებზეც დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნება მთელ მსოფლიოში.

პარიზის გაზეთები საბჭოთა მთავრობის 26 მაისის ნოტის შესახებ

პარიზი, 28 მაისი. (საკდესი). პარიზის პრესა ბეჭდავს გამოხმაურებას საბჭოთა მთავრობის 1955 წლის 26 მაისის ნოტაზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირის გამო.

გაზეთებმა მოათავსეს საბჭოთა ნოტის საკმაოდ დაწვრილებითი შინაარსი, ამასთან გამოჰყვეს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ამერიკის ხელმძღვანელთა ყოველი ცდა — ჩაერიონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში, მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ გაამწვაოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა და სახელი გაუტეხოს ასეთი თათბირის მოწვევის თვით იდეას.

გაზეთებმა „მონდმა“ და „კურიერ“ შემდეგი სათაურით გამოაქვეყნეს საბჭოთა ნოტის ტექსტი: „მოსკოვი ოფიციალურად თანხმდება ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევაზე“.

ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა განცხადება, დაიმოწმა რა საფრანგეთის საინფორმაციო წრეები. განცხადებაში ნათქვამია, რომ „საბჭოთა პასუხს, რომელიც, სხვათა შორის, ადასტურებს იმას, რაც მოლოტოვმა ვენაში თქვა, კმაყოფილებით შეხვდნენ“.

დამთავრდა მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი ბრიუსელში

ბრიუსელი, 28 მაისი. (საკდესი). აქ დამთავრდა მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 15 ქვეყნის 40-ზე მეტი მუსიკოსი. ფინალში გავიდა 12 უძლიერესი მევიოლინე, მათ შორის კონკურსის ყველა საბჭოთა მონაწილე: ი. სტეფანეცკი, ზ. იაშვილი, ვ. პიკაიზენი და ი. პოლიტკოვსკი.

საბოლოო კონცერტების დამსწრე მრავალრიცხოვანი მსმენელი გულთბილად შეხვდა საბჭოთა მევიოლინეების გამოსვლას. საბჭოთა მევიოლინეების ოსტატურ შესრულებას მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე მუსიკალური კრიტიკოსები და გაზეთები.

დღეს გამოცხადდა კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება. პირველი ადგილი მიეკუთვნა ამერიკელ სენოვსკის. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა მევიოლინე სიტკოვეცკიმ, რომელმაც მიიღო ბელგიის მთავრობის პრემია. მესამე ადგილზეა — ფრანგი პიერ დუკანი. საბჭოთა მევიოლინეებმა პიკაიზენმა, იაშვილმა და პოლიტკოვსკიმ დაიკავეს შესაბამისად მეხუთე, მეშვიდე და მეთერთმეტე ადგილები.

ტურისტთა პირველი ჯგუფი

თბილისის ტურისტულმა ბაზამ ამ დღეებში მიიღო ტურისტთა პირველი ჯგუფი. ტურისტები ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, კუიბიშევიდან, ირკუტსკიდან, პოდოლსკიდან, ბაქოდან, ერევნიდან, მაგადანიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, გაეცნენ თბილისის ისტორიულ ადგილებს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ნახეს საქართველოს საჰვითი ხელოვნების გამოფენა საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის შენობაში და სხვ. შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ბათუმში.

კარგად მოემზადა საზაფხულო სეზონისათვის თბილისის ტურისტული ბაზა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა შენობას, ინვენტარს, გაკეთდა საცეკვაო მოედანი, სალექციო ოთახში მოწყობილია რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი ტურისტული ბიბლიოთეკა. ერთ სტენდზე ნაჩვენებია საქართველოს ისტორიული ადგილები, მერანი — ცნობილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები, ახალმშენებლობათა ფოტოსურათები. ბაზაში შემენილია ყველა ბილეთი ტურისტთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის. სისტემატურად მოეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კოლექტიური სვლა თეატრებსა და კინოთეატრებში, სასპორტო შეჯიბრებებზე. ექსკურსანტთა ავტობუსებში „კარგულებაში“ კომფორტაბელური ავტობუსები.

წელს ბაზამ მოიმსახურება უნდა გაუწიოს 6.000-მდე ტურისტს.

• • •

სურათზე: ტურისტთა ჯგუფი ათვალიერებს ქალაქს.

ფოტო შ. გოქაძისა.

სსრ კავშირ — უნგრეთის საჭადრაკო მატჩი

28 მაისს ბუდაპეშტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საჭადრაკო მატჩის მეოთხე ტური. ბორონტეინმა მოუგო სახოს, ბენკოს — მიკენასს. ბილეკ-კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა. პეტროსიან�-ბარცას პარტია გადაიდგა.

საჭადრაკო მატჩის ანგარიშია 9:5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

საერთაშორისო მატჩი კალათბურთში

28 მაისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და არგენტინის კალათბურთელთა გუნდების მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. არგენტინის გუნდი („ვილა-ალ-პარკე“) თამაშობდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. საბჭოთა კავშირის გუნდი მოედანზე გამოვიდა ქორქიას, პეტკიავიჩუსის, კონდვის, რეშეტნიკოვისა და ლაგას შემადგენლობით.

ეს საერთაშორისო მატჩი დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 58:35.

მოსკოველ და თბილისელ მოკრივეთა შეხვედრა

კვირას თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა მოსკოვისა და თბილისის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. თვითეული გუნდი დაკომპლექტებული იყო 8 სპორტსმენით.

შეჯიბრება დამთავრდა თბილისელ მოკრივეთა გამარჯვებით ანგარიშით 5:3.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მოსკოვი. 28 მაისი. დედაქალაქის „სტალინეცის“ სტადიონზე თამაშობდნენ მოსკოვის გუნდები — „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრეით 0:0.

მოსკოვი. 29 მაისი. აქ „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის ორ ერთგზის ჩემპიონი და თასის ფლობელი „ზენიტი“ — მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს“. სპარტაკელებმა შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 2:0.

ლენინგრადი. 29 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ლენინგრადის „ზრომი“ — „რეზერვების“ გუნდი შეხვდა კიევის „დინამოს“. ლენინგრადელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0.

მინსკი. 29 მაისი. მატჩი მინსკის „სპარტაკისა“ და სტალინოს „ბატიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა ფრეით 1:1.

„ბ“ კლასი

სვერდლოვსკი. 29 მაისი. სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლისა და თბილისელ თანაკლასელთა შეჯიბრება ფეხბურთში დამთავრდა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი (დ. გამრეკელის მონაწილეობით), **გრიბოედოვის სახელობის** — ისაბნის ბაღში, **სომხური დრამის** — სოსი და ვარდთერი, **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ, **მოზარდ მაყურებელთა ქარ**თული—გიქორი (აბონემენტი № 8, 7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი— სეტტემბრის გმირები, **ოქტომბერი, სპარტაკი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — დედა, მამა, მსახური და მე, **თბილისი, კომკავშრომელი, 26 კომისრის სახელობის** — ანდრიეშა, **კოლხიდა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — კრაზანა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — უმზითვო, **ისანი** (საზაფხულო) — მსახიობი ქალის ოცნება, **დიდუბე** — ჯაშუშების ქსელი, **დიდუბე** (საზაფხულო) — მოუსვენარი ახალგაზრდობა, **კოლმეურნე** — მოცეკვავე მეკობრე, **ოქტომბერი** (საზაფხულო) — საყვარელი მეგობარი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კლუბი** — მწვანე ველი.

ლითოგინისა და სამთო საქმის ინსტიტუტს

სჭირდება **მემანქანე**, რომელმაც კარგად იცის ქართული და რუსული ენები.

პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე დილის 9 საათიდან — კამოს ქ. № 34/36, ტელეფონი №№ 3-28-45, 3-15-69.

„საქტყეემშენვაჭრობის“ თბილისის № 2 ხე-ტყის საავჭრო საწყობს

მისაყიდად მოსახლეობისათვის აქვს მაგარი ჯიშის შეშა (ადგილობრივი რცხილა, კოპიტი).

მისამართი: ნავთლუღი, კახეთის გზატკეცილი (ხორკომბინატის შემდეგ პირველი გაჩერება), ავტობუსის მარშრუტი № 10.

1955-1956 წლების გათბობის სეზონისათვის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ გეგმაზომიერად განხორციელებულ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი 1955-1956 წლების გათბობის სეზონისათვის, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციის, საწარმოს, სასწავლებლისა და სახლმფლობელის საყურადღებოდ აცხადებს, რომ აუცილებელია მიმდინარე წლის 15 ივლისამდე შემოტანილ იქნას განაცხადი ობიექტის ტექნიკური დათვალიერების, ხელშეკრულების გაფორმების და სამუშაოთა გრაფიკში ისეთ სამუშაოთა შეტანის შესახებ, როგორიც არის: ცენტრალური გათბობის, ღუმელთა წყობის, საკვამლე მილებსა და ხის კონსტრუქციებს შორის ბგიდეების რემონტი, ჭვარტლისა და ნაპერწკლის მჭერების დამზადება, ხის კონსტრუქციების შეღებვა ცეცხლგამძლე ხსნარით, ცეცხლსაქრობთა დაშუტება, ელექტროშონტაჟის, აწყობა-გაზომვის სამუშაოები და ლექციები სახანძრო უშიშროების შესახებ.

ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას აქვს მთელი რიგი ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატები, ფოტოსტენდები, სხვადასხვა სასწავლო და აგიტასოსრივი გამოცემები.

საწარმოები, ორგანიზაციები და სახლფლობელები, რომლებიც მიმდინარე წლის 15 ივლისამდე არ წარმოადგენენ განაცხადებს, შეტანილ არ იქნებიან სამუშაოთა გრაფიკში, ხოლო ობიექტების ხელმძღვანელები, საწყებო სახლების კომენდანტები და სახლფლობელები, რომლებიც არ შეასრულებენ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, ზემდგომი ორგანოების არსებულ დადგენილებათა თანახმად მიეცემიან პასუხისგებაში.

ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 2, ტელ № 3-83-09 აგრეთვე შემდეგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში: ყუთაისში, ბათუმში, ფოთში, სტალინირში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ხაშურში, ბორჯომში, ცხაკაიაში, წულუკიძეში, თელავში, ქობულეთში, გალში, ქარელში, ლანჩხუთში.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

მეუღლე მარიამ, შვილები მანია, თამარ, კოლია ოჯახებით იუწყებიან

გიორგი ელიზბარის-ძე მაჩაბლის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-V სოფელ ქვემო ხვითში (გორის რაიონი).

შვილები ნინო, თამარ, მაგნოლია ოჯახებით იუწყებიან

სონია კონსტანტინეს ასულ მგალობლიშვილი-გოგიბერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 74.

მეუღლე თამარ, შვილები ნიკოლოზ, ელგუჯა, ვალიკო, ელენე, თებრო ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან

გედევან კონსტანტინეს-ძე ანანიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-V, 5 ს. სოფ. სართიჭალაში (საგარეჯოს რაიონი).

მეუღლე ვლადიმერ, შვილები იზოლდა, ნოდარ, მშობლები ოლგა, გიგუცა ოჯახით იუწყებიან

ვერა გრიგოლის ასულ კურტანიძე-მდინარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 6 ს. საბჭოს ქ. № 143-ა.

შვილები შუშანა, ნადია, ანიკო, მიშა, სერგო ოჯახებით იუწყებიან

ეკატერინე გიგოს ასულ მურღულიანი-ყუფარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VI სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 25.

მეუღლე კარმენ კუბულაშვილი ნათესავებით იუწყება

ვალიკო ნიკოლოზის-ძე გიორგაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 6 ს. ადლერის შესახვევი № 10.

მეუღლე ნუნუ, შვილები გივი, დიდიმ ნათესავებით იუწყებიან

ნიკოლოზ გიორგის-ძე ლოგუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 1-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 5 ს. ვარციხის ქ. № 7.

შვილიშვილი ედიშერ გიორგაძე იუწყება

თამარ სიმონის ასულ ბეგიაშვილი-ჯანდიერის

გარდაცვალებას. გამოსვენება 31-V, 6½ ს. ბელინსკის ქ. № 7.

ინგლისის პარლამენტის არჩევნების შედეგები

ლონდონი, 28 მაისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ცნობები პარლამენტის არჩევნების შედეგების შესახებ ყველა საარჩევნო ოლქის მიხედვით, გარდა ერთისა (ოლეანი, რომ ამ ოლქში მანდატს შეინარჩუნებს კონსერვატიული პარტია). როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, პარლამენტში ადგილები ასე განაწილდა: კონსერვატორები (მათ შორის თემთა პალატის სპიკერი) 344 ადგილი, ლეიბორისტები — 277, ლიბერალები — 6, ირლანდიის პარტია სინ. ფეინი — 2. ამრიგად, ახლა კონსერვატორებს აქვთ უმრავლესობა 59 ადგილით (წარსული მოწვევის თემთა პალატაში პალატის დათხოვნის დროს მათ ჰქონდათ უმრავლესობა 19 ადგილით). კონსერვატორებმა შეიძინეს 23 ახალი ადგილი, ლეიბორისტებმა დაკარგეს 17 ადგილი.

გუშინ სატელევიზიო გადაცემაში ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ეტლი ცდილობდა შინაგანი უთანხმოებით აეხსნა თავისი პარტიის დამარცხება. მაგრამ როგორც პრესის ბევრი ორგანო აღიარებს, ლეიბორისტებისათვის მიცემული ხმების რიცხვის შემცირება ნამდვილად იმით აიხსნება, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისათვის მხარდაჭერისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, რასაც მემარჯვენე ლეიბორისტთა ლიდერები ახორციელებენ, ეწინააღმდეგება პარტიის რიგითი წევრებისა და ხალხის სურვილებს. სწორედ ეს არის როგორც პარტიაში არსებული უთანხმოების მიზეზი, ისე არჩევნებში ხმების დაკარგვის მიზეზი. როგორც გაზეთი „დეილი მეილი“ აღნიშნავს, „ორი ფრთა“ (ლეიბორისტული პარტიისა) გაცილებით უფრო შორს არის ერთმანეთზე პოლიტიკითა და განწყობილებით, ვიდრე ზომიერი კონსერვატორები და ზომიერი ლეიბორისტები“.

„დეილი უორკერის“ პოლიტიკური მიმომხილველი ზაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსერვატორთა გამარჯვება იმის „შედეგი იყო, რომ პოლიტიკა ლეიბორისტული პარტიისა, რომელსაც ეტლი და მორისონი მეთაურობენ, განუწყვეტლივ იხრება მარჯვნივ“. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა დაახლოებით 77 პროცენტი წარსული არჩევნების 82,6 პროცენტის ნაცვლად. ამომრჩეველთა ნაწილმა, დასძენს იგი, რომელნიც მემარჯვენე ლეიბორისტული ზედაფენის პოლიტიკის უკმაყოფილნი არიან, უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე. პრესის ცნობებით ლეიბორისტებმა დაკარგეს 1.500 ათასზე მეტი ხმა.

აღნიშნავენ რა, რომ კონსერვატორებს ახლა უფრო მნიშვნელოვანი უმრავლესობა ჰყავთ თემთა პალატაში, გაზეთები ამავე დროს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ კონსერვატორებმა ნაკლები ხმები მიიღეს, ვიდრე წინა არჩევნებში. მაგალითად, „დეილი ექსპრესის“ პოლიტიკური მიმომხილველი მარქსი წერს: „კონსერვატორებმა დაახლოებით 500 ათასი ხმით ნაკლები მიიღეს, ვიდრე 1951 წლის არჩევნების დროს“.

კომენტარს უკეთებს რა არჩევნების შედეგს, „ფაინენშლ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „ბუნებრივია, რომ საფონდო ბირჟა გუშინ ზეიმობდა კონსერვატორთა გამარჯვებას“. „დეილი სკეტჩი“ აგრეთვე აღნიშნავს გამოცოცხლებას ბირჟაზე და წერს: „ფოლადის კომპანიათა აქციების მფლობელებმა გუშინ განსაკუთრებით დიდი მოგება მიიღეს. კაპიტალის ამერიკელი მეწარმენიც აბარდებდნენ სახსრებს ინგლისის კომპანიებში“.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის განცხადება

ლონდონი, 28 მაისი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები და ავსტრიის არმიის შექმნისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხი. პრესაში გამოქვეყნდა რეზოლუცია ამ საკითხზე. რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ავსტრიის ინტერესები მოითხოვენ უარი თქვას „მუდმივი არმიის, დაქირავებული არმიის, აგრეთვე საყოველთაო-სამხედრო ბეგრის განხორციელებაზე დამყარებული არმიის“ შექმნაზე, რამდენადაც ასეთი არმია „თანამედროვე პირობებში შეიძლება